

დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2014 წლის 19 სექტემბერს №40-14 ოქმით

საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი

1. საქართველოს უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტს ეძლევა არჩევანის საშუალება: პროგრამის შეცვლის შემთხვევაში სწავლა განაგრძონ მოდიფიცირებულ პროგრამაზე, ხოლო გაუქმების შემთხვევაში სწავლა განაგრძონ თავსებად, მომიჯნავე/მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამაზე, ან მობილობის წესით გადავიდნენ სხვა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.
2. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, მოდიფიცირებულ ან თავსებად, მომიჯნავე/მონათესავე პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველ სტუდენტს კრედიტები უღიარდება კრედიტების აღიარების წესის შესაბამისად.
3. თუ უნივერსიტეტში არ ხორციელდება გაუქმებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადი, მომიჯნავე/მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამა, უნივერსიტეტი ვალდებულია აღნიშნული პროგრამის გაუქმების გადაწყვეტილების შესახებ გონივრულ ვადაში აცნობოს სტუდენტს, რათა სტუდენტმა ისარგებლოს მობილობის უფლებით.
4. წინამდებარე წესი მოქმედებს თითოეული აკადემიური საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაზე, თუ შესაბამისი აკადემიური საფეხურის დებულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.